საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი თ. ჩ. /სიითი № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.04.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 027/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 7 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა თ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის წარმოადგენს შპს თ. ე.-ს ინტერესებს საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავებში, სადაც კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის ქ.ყ.-ის მეუღლეს და ადვოკატს წარმოადგენს ს. მ.. ადვოკატი ს. მ. კომპანიასთან წერილობით კორესპოდენციაში არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ს. მ. ელ.ფოსტის მეშვეობით მესამე პირებს გაუგზავნა ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების მასალები და ამით ადვოკატმა დაარღვია პროცესის კონფიდენციალურობა. კონკრეტულად, ადვოკატმა ს. მ.-მ თ. ჩ.-ის მარწმუნებელს გააცნო ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმე, სადაც ასევე ითხოვდა, რომ

მარწმუნებელს თ. ჩ.-ისათვის დაევალებინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა. საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ აღნიშნული შეტყობინება ელ.ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე გააგზავნა კომპანიის როგორც ძირითად, ასევე ზოგად მეილზეც და გაუგზავნა ეთიკის კომისიასაც.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. მ. მის მარწმუნებელთან მუდმივად არკვევს ისეთ საკითხებს, რამდენად ჰქონდა ესა თუ ის პოზიცია ადვოკატ თ. ჩ.-ს მასთან შეთანხმებული (2022 წლის 17 იანვარს ელ.ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილი), ამ მოქმედებით ადვოკატი ს. მ. მას კლიენტის თვალში ულახავს რეპუტაციას. ამასთან, ადვოკატი ს. მ. თ. ჩ.-ის მარწმუნებელთან ითხოვს მის დისციპლინურ დასჯას, ამ ქმედებით ადვოკატი ს. მ. მას ხელს უშლის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

1.5 2023 წლის 27 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატი ს. მ. მის მარწმუნებელთან მუდმივად ცდილობს მის დისკრედიტაციას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. მ.-მ 2023 წლის 20 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია და 31 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის წარმოადგენს შპს თ. ე.-ში დასაქმებული ქ. ყ.-ის ინტერესებს, კომპანია შპს თ. ე.-სთან მიმართ დავაში. ადვოკატმა განმარტა, რომ მას შპს თ. ე.-ის ადვოკატის, თ. ჩ.-ისადმი არ გამოუხატავს არაკოლეგიალური და/ან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, არ შეუშლია ხელი მისთვის საადვოკატო საქმიანობაში და ამის განზრახვა არ ჰქონია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისი - როგორც მისი მარწმუნებლის წარმომადგენლის ქმედებები მიემართება არა ადვოკატ თ. ჩ.-ს, არამედ კომპანიას - შპს თ. ე.-ის. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მიმოწერა არ არის განხორციელებული მათ შორის. ადვოკატის პოზიციით, ადვოკატი თ. ჩ. წარმოადგენს არა კომპანიის ადვოკატს, არამედ ის კომპანიას წარმოადგენს როგორც კომპანიაში დასაქმებული პირი. ადვოკატის განმარტებით, მას არ აქვს შეზღუდვა, რომ როგორც კომპანიაში დასაქმებული პირის ადვოკატმა მიმართოს კომპანიას - შპს თ. ე.-ს და მის უფლებამოსილ პირებს.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი პირადი საჩივრით, ადვოკატმა თ. ჩ.-მ გაამჟღავნა მისი კლიენტის პერსონალური ინფორმაცია, რის გამოც ის დაუკავშირდა თ. ჩ.-ის დამსაქმებელს და ამ ფაქტთან დაკავშირებით მოითხოვა რეაგირება. ადვოკატმა განმარტა, რომ მას ეს ინფორმაცია არ გაუგზავნია თითოეულ თანამშრომელთან, „public“ ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება შედის კომპანიის კანცელარიაში. მან შეტყობინება გაუგზავნა კომპანიის დირექტორს, ადამიანური რესურსების (HR) სამსახურს და მისი მარწმუნებლის უშუალო უფროსს.

2.4 2023 წლის 27 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მას მიზნად არ ჰქონია კოლეგის შეურაცხყოფა. დავა მიმდინარეობს მათ მარწმუნებლებს შორის. ის კოლეგის მიმართ განმსჭვალულია პატივისცემით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის მეხუთე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატ ს. მ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაციის წესი, კანონიერებისა და კოლეგიალობის ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 6.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი", მუხლები: 5, 7, 10.1, 10.4).

3.3 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ს. მ. კლიენტის საქმეზე წარდგენილი განცხადებებით მას აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ამ ნაწილში, ადვოკატ ს. მ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა არ დაადგინა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ს. მ. იცავდა კლიენტის ინტერესს შპს თ. ე.-ის მიმართ დავაში. შპს-ს ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი თ. ჩ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

შპს თ. ე.-ის მიერ თ. ჩ.-ის მიმართ 2022 წლის 08 დეკემბერს გაცემული რწმუნებულება N.

4.1.2 ადვოკატ ს. მ.-სთვის შეცნობადი იყო, რომ მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარე - შპს თ. ე.-ს ჰყავდა წარმომადგენელი, ადვოკატი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

4.1.3 ადვოკატმა ს. მ.-მ პირადი ელ. ფოსტის მეშვეობით , მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან - ადვოკატ თ. ჩ.-ის მარწმუნებელთან გააგზავნა თ. ჩ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი, დისციპლინური საქმისწარმოების მასალებთან ერთად, ადვოკატ თ. ჩ.-ის ნებართვის გარეშე. ადვოკატმა ს. მ.-მ აღნიშნული შეტყობინება ელ.ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე გააგზავნა კომპანიის როგორც ძირითად, ასევე ზოგად მეილზეც და გაუგზავნა ეთიკის კომისიასაც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2023 წლის 13 აპრილის ელ. ფოსტის შეტყობინება;

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. მ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაციის წესი, კანონიერებისა და კოლეგიალობის ვალდებულება.

6.2 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. მ.-ის მიერ შემდეგი ნორმების დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

6.2.2 კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

6.2.3 ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი თანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.4).

6.2.4 ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ეთიკის კოდექსი, მუხლები: 7, 10.1).

6.3 პროფესიული უფლება-მოვალეობები ვრცელდება კომპანიის შიდა იურისტებზეც *('In-House lawyer')*, რომლებიც შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას, თუ ისინი არიან გაწევრიანებულები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2). ვინაიდან კომპანიის იურისტი, თ. ჩ. არის ადვოკატი, მასზე ვრცელდება პროფესიული ეთიკური ვალდებულებები და თავის მხრივ, უფლებებიც.

6.4 საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში. მნიშნელოვანია, რომ ადვოკატმა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

6.5 კოლეგიის განმარტებით, როდესაც პირი წარმოდგენილია ადვოკატით და პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი მისი გვერდის ავლით ცდილობს მის კლიენტთან კომუნიკაციას, იმის გამო, რომ ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას აქვს მოწინააღმდეგე მხარეზე პროცესუალური უპირატესობის მოპოვების

შესაძლებლობა. როდესაც მოწინააღმდეგე მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის დადგენილია მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის საშუალებით კომუნიკაციის წესი.

6.6 შპს თ. ე დავაში წარმოდგენილი იყო ადვოკატით; მას მომსახურებას უწევდა ადვოკატი თ. ჩ.. პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის - ს. მ.-სთვის შეცნობადი იყო, რომ შპს თ. ე.-ს ჰყავდა წარმომადგენელი. კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების კონფიდენციალური საქმის მასალები გაუგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს. კონკრეტულად, ადვოკატმა ს. მ.-მ თ. ჩ.-ის მარწმუნებელს გააცნო ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმე, სადაც ითხოვდა, რომ მარწმუნებელს თ. ჩ.-ისათვის დაევალებინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა. ადვოკატმა ს. მ.-მ აღნიშნული შეტყობინება ელ.ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე გააგზავნა კომპანიის როგორც ძირითად, ასევე ზოგად მეილზეც და გაუგზავნა ეთიკის კომისიასაც. კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში საქმისწარმოების პროცესი არის კონფიდენციალური: დისციპლინური საქმის წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის სხდომა დახურული (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 35.3, 35[1].4); დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული (დებულება, მუხლი 3.1).

6.7 ადვოკატი ს. მ. ადვოკატ თ. ჩ.-ის ნებართვის გარეშე დაუკავშირდა მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს, ადვოკატ თ. ჩ.-ის გვერდის ავლით. კერძოდ, შპს თ. ე.-ის ელ. ფოსტის მეშვეობით მიწერა წერილი და გაუზიარა დახურული დისციპლინური წარმოების მასალები, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კოლეგის დისკრედიტაცია. შესაბამისად, აღნიშნული ქცევით ადვოკატმა ს. მ.-მ დაარღვია ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი, კანონიერებისა და კოლეგიალობის ვალდებულება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლითა და ეთიკის კოდექსის 5, 7, 10.1 10.4 მუხლების საფუძველზე.

6.8 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.9 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.10 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და

დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.11 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, ადვოკატის მაღალ პროფესიულ რეპუტაციას და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.12 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.13 განხილვის კოელგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35-ე და 38-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №027/23 ადვოკატ ს. მ.-ის /სიითი / მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/